დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109253587**
თარიღი:**24/12/2025**

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის Ng-109. 109252832 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „“ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის N1604 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის N2075 განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის Ng-109.109252832 განკარგულებაში და:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ამ განკარგულების დანართებით წარმოდგენილი:

ა) „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება;

ბ) „„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 12 დეკემბრის N1 შეთანხმება.“

ბ) განკარგულებას დაემატოს ამ განკარგულების დანართით წარმოდგენილი „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 02 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2025 წლის 12 დეკემბრის N1 შეთანხმება.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 01 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ბოლნისი სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

შეთანხმება № 1

„საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 12 დეკემბერი 2025 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის - კახაბერ გულედანის სახით, და დმანისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - მუნიციპალიტეტი) წარმოდგენილი მერის - კობა მურადაშვილის სახით, ერთად წოდებულნი როგორც - „მხარეები“, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 დეკემბრის №2075 განკარგულებისა და მხარეებს შორის 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მე-5 მუხლის 5.3 პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსება/განხორციელება.“.

2. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

3. ხელშეკრულების სხვა პირობები/დანართები, რომლებიც არ იცვლება შეთანხმებით, რჩება უცვლელი. შეთანხმებისა და ხელშეკრულების პირობებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას.

4. შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

6. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო ს/ნ: 204755292	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია ს/ნ: 228928391
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის №10	მისამართი: ქ. დმანისი წმინდა ნინოს ქუჩა N41
Kakhaber Guledani 01024009201 Digitally signed by Kakhaber Guledani Date: 2025.12.16 14:42:48	Koba Muradashvili 01028005896 Digitally signed by Koba Muradashvili Date: 2025.12.12 11:48:23 DMANISI MUNICIPALITY Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY Date: 2025.12.12 10:50:55 +04'00'